იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა სპა


საბჭოთაში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 2 (120)

თებერვალი,

1965 წელი



ამბები დღა-სამშობლოდან

საქართველოს ცას

გიორგი შატბერაშვილი

საქართველოს ცას თვალს ვერ ვაშორებ,
თუ მოვაშორებ, წამსვე მაჟრჟოლებს...

მე მისი ეშხით ვარ ნამეხარი,
ვარ მისი უღლის ალალი ხარი.

მე მისი ბუხრის ვარ ნაპერწკალი,
ფრთამოტეხილი მისთვის მერცხალი.

მე მიყვარს მისი აწმყოც და ხვალეც,
მე მისთვის გუშინ სისხლი დავღვარე.

მის ცას, მის მიწას თვალს ვერ ვაშორებ,
თუ მოვაშორებ, ავად მაჟრჟოლებს...

თუკი ავდარი მოავდრებია,
მისთვის სიკვდილიც მომნატრებია.

მე მისვამს მისი შხამიც და ღვინოც,
შხამი მტანჯავდა, ღვინო მათრობდა,
მაინც ვამბობდი ჩემს საღიღინოს,
მაინც ეს გული იმ შხამს ნატრობდა.

საქართველოს ცას თვალს ვერ ვაშორებ,
თუ მოვაშორებ, წამსვე მაჟრჟოლებს.

სამშობლოს, დედას მას ეძახიან —
მაგრამ ის, ძმებო, ჩვენი ბალღია!
ჩვენ ვართ მამები, ჩვენ ვართ დედები,
მისი ნაღველი ჩვენი ჩრდილია,
ჩვენ მის მომავალს ვეიმედებით,
ის — საქართველო, ჩვენი შვილია!
ის უკვდავია, ჩვენ ვიხოცებით,
მისი სიცოცხლის დიდი ოცნებით.
ის უკვდავია, იცოცხლებს მარად,
იცოცხლებს მისი ლურჯი კამარა!

ის დაგვიტირებს, ის გამოარჩევს,
ის გამოაჩენს გმირებს და ლაჩრებს...

ჩვენი სიცოცხლის გულით მნატვრელი,
ჩვენი საფლავის არის გამთხრელი...
ჩვენი ბავშვების აკვნის გამთლელი —
ის ჩვენი კუბოს არის გამთლელი,
ჩვენს სამარეზე ცრემლის დამყრელი,
ჩვენს გულზე წმინდა მიწის დამყრელი!



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის შ. რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შოთა რუსთაველის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტის წარდგენის თანახმად მიანიჭა შოთა რუსთაველის სახელობის 1965 წლის რესპუბლიკური პრემიები ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის:

1. ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძეს ლექსებისათვის „პალესტინა, პალესტინა“ (ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“).

2. ელგუჯა დავითის-ძე ამაშუკელს — ქანდაკებისათვის „ქართვლის დედა“.

3. კონსტანტინე სიმონის-ძე გამსახურდიას — რომანისათვის „დავით აღმაშენებელი“.

4. ვლადიმერ (ლადო) დავითის-ძე გუდიაშვილს — უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებებისათვის.

შენდება, მშვენდება

ჟუთაისი. ქალაქში ფართოდ არის გაშლილი ახალმშენებლობანი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს წყალსადენის მშენებლობა. წლის ბოლოსათვის ქალაქის მშრომელები დღე-ღამეში დამატებით 47 ათას კუბურ მეტრ წყალს მიიღებენ. წყალსადენის მეორე რიგის სამუშაოებზე წელს 678 ათასი მანეთი დაიხარჯება.

წარმატებით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა. ავტომობილმშენებელთათვის ქარხნის დასახლებაში შენდება 6 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი. ქალაქის საბჭოს აღმასკომი აშენებს ოთხი ათასი კვადრატული მეტრი ფართობის ოთხ სახლს. საცხოვრებელ სახლებს თავიანთი მუშა-მოსამსახურეებისათვის აგებენ აგრეთვე სამშენებლო ტრესტი, ლითოფონის ქარხანა, № 8 სამკერვალო ფაბრიკა და სხვა საწარმოები. მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაფართოვდა კოოპერაციული ბინათმშენებლობა.

ქუთაისში შენდება საწარმოები. მიმდინარე წელს მწყობრში ჩადგება ფეხსაცმელის ფაბრიკა, რომელიც წლიურად სამ მილიონ წყვილ ფეხსაცმელს გამოუშვებს, დამთავრდება აგრეთვე პურის ახალი ქარხანა, რომელიც დღეღამეში გამოუშვებს 50 ტონა პურს. მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება მიმდინარე წელს აბრეშუმის კომბინატის საგამომყვანო ფაბრიკის მშენებლობაზე და ლითოფონის ქარხნის გაფართოების სამუშაოებზე.

ამჟამად ქალაქში შენდება სამი საშუალო სკოლა. ქალაქს წელს შეემატება კიდევ ერთი საბავშვო ბაღი.

გამარჯვებული... წიგნები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყო 1964 წელს გამოცემული წიგნებისა და ჟურნალების რესპუბლიკური კონკურსი. წარმოდგენილი იყო ხუთი გამომცემლობის 57 დასახელების წიგნი, 8 ჟურნალი.

კარგი მხატვრული გაფორმებისა და პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე შესრულებისათვის პირველი ხარისხის დიპლომით აღინიშნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ შარშან გამოშვებული ალბომები: ვ. ჯაფარიძე — „24 აკვარელი“, „საქართველოს ბუნება“, აგრეთვე გამომცემლობა „ნაკადულის“ წიგნები: ე. მეტელიაბისი — „ბაჭია ბიჭუნა“, „ჩვენ ვხატავთ“. II ხარისხისა და წამახალისებული დიპლომებით აღინიშნა ამავე გამომცემლობებისა და გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების“ მიერ გამოცემული 13 დასახელების წიგნი.

მაღე მოეწყობა გასული წელს გამოცემული წიგნებისა და ჟურნალების საკავშირო კონკურსი. ჩვენი რესპუბლიკიდან, გარდა ზემოაღნიშნული წიგნებისა, წარდგენილია: თ. ყუბანეიშვილის ალბომი „მეტყველი დუმილი“, დ. გურამიშვილის „დავითიანი“ და სხვა.

მიმდინარე წელს საბჭოთა წიგნის გამოფენებზე საზღვარგარეთ ექსპონირებული იქნება რესპუბლიკის ხუთ გამომცემლობაში გამოსაცემად გათვალისწინებული 19 დასახელების წიგნი, მათ შორის: შ. რუსთველი — „ვეფხისტყაოსანი“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,) ვ. ქანთარია, მ. რამიშვილი — „მეღვინეობა“ (გამომცემლობა „ცოდნა“), ვაჟა-ფშაველა—„დევების ქორწილი“ (გამომცემლობა „ნაკადული“), ი. აბაშიძე— „პალესტინა, პალესტინა!“ (გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“). ქართული წიგნები გაიგზავნება ლაიპციგის ბაზრობის 800 წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილ წიგნის ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზეც.

მაისში მოსკოვში მოეწყობა წიგნის საკავშირო გამოფენა-გაყიდვა. ჩვენი რესპუბლიკიდან ამ გამოფენაზე გაიგზავნება ორასზე მეტი დასახელების მხატვრული, მეცნიერული და სხვა ლიტერატურა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე არის პავილიონი „საბჭოთა ბეჭდვითი პროდუქცია“. პავილიონში სხვა მომქე რესპუბლიკების გამოცემებთან ერთად ცალკე სტენდზე გამოფენილ იქნება 1965 წელს საქართველოში გამოცემული 60 დასახელების საუკეთესო წიგნი.

ვიტამინი მანდარინის ქერქისაგან

აღმოჩნდა, რომ მანდარინის ქერქი შეიცავს სისხლძარღვების გასამაგრებელ საშუალებას — ვიტამინ „P“-ს.

ამ სამკურნალო პრეპარატის მანდარინის ქერქისაგან მიღების რეცეპტურა შეიმუშავეს საქართველოს სსრ კავების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის მეცნიერმა თანამშრომლებმა.

ამჟამად ბათუმის ციტრუსოვანთა კომბინატში დამონტაჟდა ნახევრად სამრეწველო დანადგარი ციტრუსის ნარჩენების გადასამუშავებლად. აქ დამზადდება ძვირფასი სამკურნალო პრეპარატი. დანადგარის საშუალებით ვიტამინის გამოშვება ერთიორად გადიდდება.

ჩვენი ღონიერი საქართველო



დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებელთა ქარხნის პროდუქცია. „მი-32“, „მუ-25“ და სხვა ტიპის გამაძლიერებლებს, რომლებსაც ქარხანა უშვებს, იყენებენ ჩვენი ქვეყნის საწარმოებში და გზავნიან საზღვარგარეთ.

სურათზე: ზეინკლები ი. კუჭუხიძე და შ. რუხაძე აწყობენ „ემუ-25“ ტიპის გამაძლიერებლებს.



ბუვარჩელი. №2 შახტის კოლექტივს სამართლიანად უწოდებენ ინტერნაციონალურს. აქ შრომობენ აფხაზები, ქართველები, რუსები, ოსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები... მაღაროელთა ძმური კოლექტივი ამ დღეებში წარმატებით იდგა 25 თებერვლის აღსანიშნავ ვახტზე და გეგმის ზევით იძლეოდა ათასობით ტონა ქვანახშირს.

სურათზე: №2 შახტის ბრიგადის დამკვრელები (მარცხნიდან მარჯვნივ) გვირაბგამყვანი ს. პოზდნიაკოვი, მწგრეველთა ბრიგადირი ბ. მეფორია, გვირაბგამყვანი მ. ლომია და მწგრეველი ი. პლიევი.

არ დაიკარგოს არც ერთი გრამი მარგანეცი — ასეთია დღეს ჭიათურელ მემაღაროელთა წინაშე დასახული ამოცანა. ამ ამოცანის განსახორციელებლად ჭიათურაში დაჩქარებული ტემპებით წარმოებს და უკვე დასასრულს უახლოვდება ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც დამკვრელ ობიექტად არის გამოცხადებული. ცნობილია, რომ მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკებიდან გამონადენ წყალს ლამის სახით თან მიჰყვება სუფთა მარგანეცის გარკვეული ნაწილი, რაც უქმად იკარგება. საფლოტაციო ფაბრიკის დანიშნულებაა ამ მილიონობით ტონა ლამის გადამუშავება, რის შედეგად იგი მიიღებს მარგანეცის მაღალი ხარისხის კონცენტრატებს.

სურათზე: მილების გაყვანა საფლოტაციო საამქროში.




ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ჩქარი ტემპებით წარმოებს ახალი სადნობი საამქროს მშენებლობა დახურული ელექტროღუმელებით. საამქრო აღიჭურვება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით. ახალი ტიპის დახურული ელექტროღუმელების ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ პროდუქციის გამოშვება მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამასთან ერთად დნობის პროცესის დროს ღუმელებიდან გამოყოფილი გაზები გამოყენებული იქნება ქიმიური მრეწველობისათვის. მშენებლებს ვალდებულება აქვთ აღებული, რათა ახალი საამქროს მშენებლობა შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრონ.

სურათზე: ზესტაფონის შენადნობთა ქარხნის ახალი სადნობი კომპლექსის მთავარი კორპუსის მომინვა.



საგანძური ერისა

დამთავრდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის გამოცემა



თავი დაედგა კიდევ ერთ დიდ ეროვნულ საქმეს.

დამთავრდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა. მისი ავტორთა მთელი კოლექტივის, და განსაკუთრებით ძირითადი ბირთვის, თითქმის ოცწლიანი დაძაბული და შეუნელებელი ჰიდილი ქართულ სიტყვასთან დასრულდა. შედეგად მივიღეთ ქართული სიტყვის საუნჯე — რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონი ქართული ენისა. ჩვენსავით პატარა ერის კვალობაზე ბევრი ვერ იტყვის, ასეთი სიმდიდრე გვაქვსო.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ახალი სალიტერატურო ენის ლექსიკონია. იგი განმარტებითია იმიტომ, რომ ქართული (ან არაქართული, მაგრამ ქართულში სახმარებლად დამკვიდრებული) სიტყვა ახსნილია ქართულადვე. სალიტერატურო ენისაა, რადგან მასში აღნუსხული და განმარტებულია ყველა სიტყვა, რაც კი დამკვიდრებულია სიტყვა — კაზმულ მწერლობაში, სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, საერთოდ წიგნის მეტყველებაში. ახალი სალიტერატურო ენისაა იმის გამო, რომ მასში ძირითადად თავმოყრილია სალიტერატურო ენაში ამჟამად ხმარებული ლექსიკა.

იმისათვის, რომ მომხმარებელს ჰქონდეს წარმოდგენა ქართულ ენაზე, მის ისტორიაზე, — დაწვრილებითი ცნობები საერთოდ ლექსიკონის შედგენის პრინციპებზე და კერძოდ ლექსიკონზე, რომლითაც მან უნდა ისარგებლოს, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პირველ ტომს დართული აქვს ვრცელი შესავალი.

მთლიანად ლექსიკონში აღნუსხული, განმარტებული და დოკუმენტირებულია 112.949 სიტყვა და 14.536 იდიომატური გამოთქმა.

ლექსიკონი მომზადდა და გამოვიდა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის პროფესორ **არნოლდ ჩიქობავას** საერთო რედაქციითა და ხელმძღვანელობით.

ლექსიკონის შედგენაზე მუშაობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიამ 1945 წელს დაიწყო. უფრო გვიან (1949 წ.) შეიქმნა ლექსიკონის მთავარი რედაქცია, რომელიც დასაწყისში 7 წევრს აერთიანებდა და მერე 14-მდე გაფართოვდა. მთავარ რედაქციაში და კომისიაში შედიოდნენ აკადემიკოსები **ნ. მუსხელიშვილი, ს. ჯანაშია;** პროფესორები **გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, ნ. კეცხოველი, ვ. კუპრაძე, ქ. ლომთათიძე, ა. ჩიქობავა, გ. წერეთელი;** დოცენტები **ივ. გიგინეიშვილი, ს. ვაჩნაძე, ლ. ლომოური, სტ. მენთეშაშვილი;** საქართველოს სახალხო პოეტები **ი. გრიშაშვილი** და **გ. ლეონიძე; ვ. ეგნატაშვილი.**



ლექსიკონის მიხედვით ვეცნობით, თუ რა ლექსიკური მარაგი მოეპოვება ქართულ ენას, როგორ გამდიდრდა მისი ლექსიკა საბჭოთა პერიოდში, რა წყაროები გააჩნია მას შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის. განმარტებითი ლექსიკონი დიდად შეუწყობს ხელს ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას, გავრცელებას, მისი ზრდა-განვითარების პროცესს კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის მუშაკთათვის (და არა მხოლოდ მათთვის) ეს ლექსიკონი სამაგიდო წიგნი და მათს ყოველდღიურ საქმიანობაში ერთგულ თანამშრომელი მოგვევლინება, ხოლო ქართული ენის შესწავლის ან ამ ენაში ცოდნის სრულყოფის მსურველებს მხარში ამოუდგება და ათვისებას დიდად გაუადვილებს.

ქართული ენის განმარტებითი რვატომეული ლექსიკონის ავტორთა კოლექტივმა საქმით გვიჩვენა სიტყვის ფასი და ჩვენს დედა-ენას დიდი ამაგი დასდო იმით, რომ ქართულ სიტყვებს სანდო სამკვიდრებელი გაუჩინა.

მათ ღვაწლსა და გარჯილობას ღირსეულად დააფასებენ თანამედროვენიც და ქართველთა შთამომავალნიც, „რომელნიც შემდგომად ჩუენსა ყოფად არიან“.

* * *

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოსვლა საქართველოში ახალ ნიშნა, როგორც დიდი კულტურული მოვლენა. რესპუბლიკის მთავრობის ორგანომ, გაზეთმა „კომუნისტმა“ მისი სპეციალური გვერდი მიუძღვნა. ამ გვერდის ფოტოპროდუქციას.

ქართული ენა მშვენიერი ენაა, მოქნილი და ზუსტი, ორიგინალური აგებულებისა; მას აქვს დიდებული წარსული, იგი მუდამ ინარჩუნებდა საკმაო სიცოცხლის უნარს, რომ გამოეხატა უახლესი იდეები (აზრები) და გრძნობები... მასზე ინერგებოდა და იწერება დიდი ღირებულების მქონე მხატვრული ნაწარმოებები და მნიშვნელოვანი შრომები ყველა სამეცნიერო დარგისა, მეტადრე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგისა. საჭიროა, რომ ქართველების გარდა სხვებისთვისაც მისაწვდომი იყოს ის, რაც ქართულად იწერება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი დარჩება ძეგლად, რომელიც ქართულ ენას დაუდგეს და ამ ენის ღირსებას შეეფერება.

რენე ლაფონი,

ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველოლოგი.

შოთა რუსთაველის ჰქონია ლაპარაკი



ირაკლი აბაშიძე

პოეტი — აკადემიკოსი

ხმა კატამონიან

„—ო, ენავ, ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

წათესავს ათასს,
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი.
მორჩა.
ყველა მოთავდა;
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ — ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.

თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოვლის არმთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო.

ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო,
ხან — ფუნჯო ჩემო, ხან — საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უჭკნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან“.

ხმა გეთსიმანიის ბაღში

„—სხვა რამ არ მწამდა
სამშობლოზე წმიდათა წმიდა, —
შემინდე, ღმერთო,
მამულის წინ ყოვლის დათმობა;
მნათობი შენი
საქართველოს მწამდა მნათობად,
თოვდა თუ წვიმდა,
მამულისთვის თოვდა და წვიმდა.

ო, პალესტინავ,
პალესტინავ!
ყოვლის მომცველის,
ყოვლის მფლობელის
მწამდა შენის
სიტყვის, ცხოვლისა,
მაგრამ უადრეს,
უწინარეს,
უმალ ყოვლისა,
მე სამშობლოსთვის,
სამშობლოსთვის
ვიყავ მლოცველი.

ნექტრით ის მწვავდა,
მწარე მისგან გამმწარებია,
მის ცის ქვეშ
ყმობაც
ჩემთვის იყო ალამდარობა;
მე უკვდავება მამულს გარეთ არ მწამებია,
არ მიძებნია
მამულს გარეთ მამამთავრობა.

თუ ღირს ვარ მისი,
მისთა სერთა,
მისთა ტყე-ველთა,
მისი სიმაღლის,
მისი სიღრმის,
მისი განწყობის:
გულიც და სუნთქვაც,
ყველა ნიჭი
ჩემის კაცობის
მე წმინდად დავდე
საქართველოს
საკურთხეველთან.

იქ მივეც მამულს,
შემოქმედო,
შენის განგებით,
რაც მოვიხვეჭე,
რაც დავკარგე,
რაც განვიცადე;
იქ ჩაიბარე
საქართველოს მართალ მიწაზე
ის ჩემი სუნთქვაც,
ჩემი ცრემლიც,
ჩემი ჰანგებიც.

შემინდე შენს შვილს,
თუ ცოდვილი ვარ შენს წინაშე,
მაგრამ ვარ ცოცხალ
იმავ სუნთქვით,
იმავ ნაღველით —
კვლავ მიწა ჩემი
შეგავედრო
ცრემლით მდაგველით,
ამად აღვიძარ,
ამად მოველ პალესტინაშიც“.


ირაკლი აბაშიძემ ჰეშმარიტად დიდი პოეტური და ფსიქოლოგიური სიმათლით გამოკვეთა სახე მარტოდ დარჩენილი უდიდესი ჰუმანისტისა და გასაოცარი ძალით გადმოიტანა შორეულ დროთა პოეტური ალსარება ჩვენს ბოგბოძარ საუკუნეში, და დრო-ჟამთა ცოცხალი ჰეშმარიტი შთაგონების შუქით გამსჭვალული შეხვედრის მოწმენი გაგვხადა.

ირაკლი აბაშიძის ლექსების წიგნი „პალესტინა, პალესტინა!“ რომელმაც კვლავ შეგვახვედრა შოთა რუსთაველს, მთელი ჩვენი თანამედროვე პოეზიის დიდი მიღწევაა.

ნიკოლოზ ტიხონოვი.

ირაკლი აბაშიძის ლექსთა კრებული „პალესტინა, პალესტინა!“ პირველხარისხოვანი პოეტური ნაწარმოებია, რომელშიც უმაგალითოდ ჩაქსოვილია ალსარების სტილით რუსთაველის ცხოვრების ნაფიქრი და განცდილი. ამავე დროს ეს დიდი მხატვრული ნაწარმოები, საქმის ცოდნითა და ერუდიციით შეჯურვილი, რუსთაველის განწყობათა და ნააზრევის შესწავლის მნიშვნელოვან გადმოცემას წარმოადგენს.


შალვა ნუცუბიძე.



გაიხსენე, მეგობარო!



ისევ ამაყად დგას მცხეთის ჯვარი.



ამ გზას ყაზბეგისაკენ მივუყავართ.



აზვირთებულ ტალღებს მოაგორებს ენგური.

ჩვენი მკითხველის პასუხები

პეტრე ქიტიაშვილი

დიდება სამშობლოს!

ნიავმა აღმოსავლეთის,
მონარნარემა მდელოში,
დადგა, ამბავი მიამბო,
მომხდარი საქართველოში.

მითხრა: „დედასა ჰგონია,
რომ წევხარ განგმირულია.
მტრის ფეხით გადანავალი,
ქარისგან დამარხულია.

ხან მოიკრიფავს სიმხნევეს,
იქნებ ცოცხალი არიო.
და კიდევ იბრძვის ხალხისთვის
კვლავაც მარჯვე აქვს მკლავიო“.

ყური დამიგდე, ნიავო,
ასე უთხარი დედასა:
„ვიბრძვი მკლავ დაუღალავათ,
მტერსა ვვგრი შიშით ბნედასა.
ბევრჯერ ზედიზედ მიხდება,
მტრის ურდოებზე თარეში,
შენი სახელი ვადიდე
შორეულ უცხო მხარეში!

მნახავნი შემომნატრიან:
„ვინ არის შენი დედაო!“
ვინმე არსებობს მიწაზედ,
ძლიერი ქართველზედაო?!

ქ. ტულუზა, საფრანგეთი.

წერილი ავსტრალიიდან

ამ დღეებში გაზეთ „სამშობლოს ხმის“ რედაქციაში წერილი მოვიდა ავსტრალიიდან, ქალაქ სიდნეიდან. იგი ეკუთვნის ერთ-ერთ ჩვენ თანამემამულეთაგანს, რომელსაც წერილი კი გამოუგზავნია, მაგრამ თავისი ვინაობის ჩვენთვის გამხელა არ მოუსურვებია. იყოს ნება მისი!...

სიდნეელი ქართველის წერილს ჩვენ დიდი ინტერესით გავეცანით. ვფიქრობთ იგი ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვისაც, ამიტომ გადავწყვიტეთ მისი გამოქვეყნება.

პატივცემულ „სამშობლოს ხმის“ გამომცემ კოლეგიას

ის კეთილი მუშაობა, რომელსაც ზემოთ აღნიშნული გაზეთი ასრულებს ემიგრანტ ქართველებზე, უეჭველად განსაზღვრელი და დიდებულია. ყოველი ახალი ნომერი საქართველოს სიყვარულის სულის ჩამდგმელია და საქართველოს მომნატრ გადახვეწილ ქართველებს სამშობლოში დაბრუნების იმედსა და სურვილს გვიმატებს.

თქვენმა ნაყოფიერმა მუშაობამ ბევრი ჩვენს ბედში მყოფი მეგობრები სამშობლოს დაუბრუნა, რომელთა შორის ბევრი პირადი ნაცნობი მეგობრებია, რომელთა ჩანაწერს თქვენი გაზეთის ფურცლებზე ვკითხულობთ.

ჩვენ ავსტრალიაში მყოფი ქართველები დიდ მადლობას გიცხადებთ სიყვარულით გამომცემ მეგობრებს და ყველა ქართველს ჩვენდამი გაზეთის და სამშობლოს ღირსშესანიშნავი წარმატებების მოწვდენისათვის, გილოცავთ, ეს წელი ყოფილიყოს ახალი წარმატებების მომტანი და ერის ძლიერების წელი, ეს წელი ყოფილიყოს სამშობლოს მომნატრი, უსამშობლო ქართველების დაბრუნების წელი. და ჩვენც დავმტკბარიყოთ ჩვენი საამაყო სამშობლო მიწა-წყლით და მონატრებული მეგობრებით.

თქვენი კარგის მსურველი: **სიდნეის ქართველებიდან.**

* * *

ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „სამშობლოს ხმის“ სარედაქციო კოლეგია სარგებლობს შემთხვევით და თხოვნით მოგმართავთ თქვენ — უცხოეთში მცხოვრებ ჩვენ ძვირფას თანამემამულეებს, ყველას, ვისაც თავისი სამშობლო — საქართველოს სიყვარულით უძგერს გული, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოთ გაზეთის მუშაობაში.

ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ, გავეცნობით და დავბეჭდავთ „სამშობლოს ხმის“ ფურცლებზე თქვენს ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს, წერილებს, კორესპონდენციებს, ფოტოსურათებს და საერთოდ ყველა სხვა სახის მასალას, რომელშიც ასახული იქნება საზღვარგარეთში მყოფი ქართველების ცხოვრება და კეთილი საქმიანობა.

დააჯილდოვეს ქართველი ბალერინა



ბირმაში, კამბოჯაში, ტაილანდსა და ცეილონში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა ქართველი ბალერინა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ლილიანა მითაიშვილი**. საბჭოთა ბალეტის მსახიობთა ჯგუფის შემადგენლობაში იგი ცეკვავდა ამ ქვეყნების საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში.

„წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს გრაციოზული ლილის ცეკვა, რომელიც მზიური საქართველოდან ჩამოვიდა“, — წერდა ქართველ მოცეკვავეზე ბირმის მთავრობის გაზეთი.

ცეილონში ლილიანა მითაიშვილი შეხვდა პროფკავშირულ მოღვაწეებს, რომლებიც ამას წინათ იყვნენ საქართველოში. ცეილონის პროფკავშირთა მუშაკებმა მეგობრული სალამი გადასცეს და ყოველივე საუკეთესო უსურვეს **„ტუმართმოყვარე ქართველ ხალხს, რომელიც მათ შეიყვარეს“**.

კამბოჯის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები, როგორც ყველაზე ახლობელ მეგობრებს, ისე იღებდა საბჭოეთის წარგზავნილებს, დასკვნითი კონცერტის შემდეგ კამბოჯის პრინცმა ნაროდომ სიანუკმა ორდენები გადასცა საბჭოთა მსახიობებს. ქართველი მსახიობი **ლ. მითაიშვილი „დიდი საშემსრულებლო ოსტატობისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის“ დაჯილდოებულია კამბოჯის მთავრობის ქალთა სპატიო ორდენით.**

სინოპტიკოსთა საგრუნავი

— ალო! ვაშინგტონია? მიიღეთ ჩვენი რუკები? ყველაფერი რიგზეა?

— ო, კეი!

მოსკოვის მთავარი რადიომეტეოროლოგიური ცენტრის სააპარატოს სამუშაო მოემატა: დაწესდა ამინდის რუკების სადღეღამისო ფოტოსატელეგრაფო გაცვლა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის.

— სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სინოპტიკოსებს შორის კავშირის ახალი სისტემა უწინარეს ყოვლისა დიდ დახმარებას უწევს მფრინავებსა და მეზღვაურებს, — ამბობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოსამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე გიორგი გოლიშევი. — ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის საზღვაო და საჰაერო გზებზე დიდი მოძრაობაა. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სხვადასხვა კუთხეებში განლაგებულ პუნქტებს შორის ინფორმაციების უშუალო გაცვლამ დააჩქარა მეტეოროლოგიური ცნობების მიწოდება ხომალდებსა და მრავალი ქვეყნის აეროპორტებში. ამ კავშირს დიდი მნიშვნელობა აქვს ავრეთვე მეურნეობის სხვა დარგებისთვისაც.

უკანასკნელ წლებში ფოტოტელეგრაფი შესაძლებლობას გვაძლევს მეტეოროლოგიური ცნობები გადავცეთ ამინდის რუკების სახით. ამ მეთოდის გამოყენებით სინოპტიკოსების მონაცემები შეიძლება შევროვდეს მხოლოდ რამდენიმე მეტეოროლოგიურ ცენტრში. ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მთავარ ცენტრებად არჩეულია მოსკოვი და ვაშინგტონი. საბჭოთა კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებს გადასცემს იმ მეტეოროლოგიურ მონაცემებს, რომლებიც შეგროვდება სსრ კავშირში, ევროპის ქვეყნებში, სამხრეთ აზიასა და წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში. ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოდის მეტეოროლოგიური ცნობები ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკის რაიონების, ატლანტისა და წყნარი ოკეანების ჩრდილოეთ ნაწილების შესახებ.

მომავალში სამხრეთ ნახევარსფეროში შეიქმნება მესამე საერთაშორისო მეტეოროლოგიური ცენტრი, რომელიც შეუერთდება ახლანდელ ცენტრებს. მაშინ შესაძლებელი გახდება შეუფერხებელი კავშირის დამყარება მთელი მსოფლიოს სინოპტიკოსებს შორის.

კოშკი გადარჩება

პიზის ვარდნილი კოშკის გადარჩენა შეიძლება, — ამტკიცებს პროფესორი მიხეილ ტუპოლევი, ამ არქიტექტურული ძეგლის გადასარჩენად „სსრ კავშირ-იტალიის“ საზოგადოებასთან შექმნილი კომისიის თავმჯდომარე.

საბჭოთა სპეციალისტებს უკვე ამჟამად გააჩნიათ საკმაო გამოცდილება, რათა კოშკი იხსნან კატასტროფისაგან. ჩვენმა ინჟინრებმა დაამუშავეს მთელი რიგი წინადადებები. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნის მოსკოველ ინჟინერს დავით მალკოვს. ავტორი წინადადებას იძლევა კოშკის შიგნით შეყვანილ იქნეს ფოლადის ბუმერანგები, რომლებიც დაეურდნობიან მძიმე საძირკველს. ასეთი სპირწონე არ დაამახინჯებს ამ უნიკალური ნაგებობის გარე ხედს და გადარჩენას კოშკს ახლანდელ დახრილ მდგომარეობაში.

წარსულის გახსენება

მას შემდეგ ბევრჯერ გასცვივდა ფოთლები უნივერსიტეტის წინ ჩარგულ ჭადრებს. ცოდნის ტაძარმა ბევრჯერ ფართოდ გაუღია კარი ახალ თაობას...

და აი, 1941 წელს ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი კვლავ ესტუმრნენ უნივერსიტეტს. რამდენი ტკბილი მოგონებაა დაკავშირებული ამ აუდიტორიებთან, კაბინეტებთან.

თანაკურსელების შეხვედრა გახსნა რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა ნ. ლაიშვილმა.

ყოფილმა ჯგუფხელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. მელაძემ კურსის სია ამოიკითხა, მეგობრებმა სიყვარულით მოიგონეს ისინი, **ვინც სამამულო ომში დაეცა.**

სტუდენტი გამოვიდნენ კურსდამთავრებულნი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი კ. წერეთელი, რაიონის მასწავლებელთა სახელით ბ. კვირკველია, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი შ. კუჭუხიძე, მასწავლებელი ნ. ბერძენიშვილი. თანაკურსელებს ახალი ლექსი უძღვნა პოეტმა ი. ნონეშვილმა.

ყოფილ სტუდენტებს მიესალმნენ გამოჩენილი მეცნიერები ა. შანიძე, გ. ახვლედიანი და ს. ყაუხჩიშვილი.

ამირან აგშილავა

ჯარისკაცები

ჯარისკაცები... ჯარისკაცები...
ლეგა ბიჭები,
რკინის მკლავებით,
ისინი ყველა ერთმანეთს ჰგავდნენ,
ჩემი და შენი სახლიკაცები...
ხისხლი, მძიმე გზა
ტანჯვის, წვალების
ვოლგის სტეპიდან
შვრიე ელბამდე.
გაღიმებულნი,
კეთილნი კუშტად მიაბიჯებდნენ.
ჭერა ბიჭები,
შავი ბიჭები,
ცაცნი კაცურნი,
მართალნი ცამდე, —
ვით ღვიძლი ძმები
ერთმანეთს ჰგავდნენ.
გვახსოვს, ჰო, გვახსოვს
ჩვენ ის ბნელეთი,
პირმოყუმული, მრისხანე ზეცა,
მარუხი, ქვრივი,
მთელი ხმელეთი,
ნიშტი, ჩექმები
ირანულ მხეცთა.
დამშეული,
თითო ბავშვების ხვეწნა,
ცემშრალ ძუძუსკენ
გაწვდილ ხელებით.
„...დავტოვეთ კიდევ ერთი ქალაქი...
— დიდება გმირებს,
უკვდავებს მარად“...
სამად ნაკეცი ფრონტის ბარათი,
ბოლმა და დარდი
მომსკდარი ღვარად
გვემახსოვრება
კუბოს კარამდის!
რა უცბად გადის...
ეჰ, დრონი, დრონი...
გვახსოვს ვარშავა,
ლამანშიც, ვარნაც,
ოსვენციმი და ტექსელი, რომი,
ოლეგ და ლევან,
ტადეუშ, ტომაც, —
შინმოუსვლელნი,
ნეტავ, საღ წვანან, —
მშვიდნი, ჩუმნი და უსახელონი?!
მე ახლაც მათი ჩურჩული მესმის, —
მათი სიკვდილი არ შეიძლება!..
მათ ჩვენს გულებში
გაიდგეს ფესვი,
როგორ იქნება,
ჭირშიც და ლხინშიც,
სიცოცხლის ხმებშიც
მათი სიკვდილი და დავიწყება?!



ქართული ცირკის კოლექტივი წარმატებით სარგებლობს როგორც თბილისში, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

სურათებზე: არენაზე არიან ქართული ცირკის ოსტატები. ზემოთ, მარცხნივ — აკრობატ ნატრიშვილების გამოსვლა; მარჯვნივ — სანდრო დადეშქელიანი, მას არცერთი ხელი არ აქვს, მაგრამ საოცარი ოსტატობით ხმარობს ფეხებს; ქვემოთ — გამოდიან ქართული ცირკის მოცეკვავენი.

9.2/24

სპორტული მიმოხილვა

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელები, ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში უნდა შეხვედროდნენ იუგოსლავიის ჩემპიონს, ზაგრების „მედვეშჩაკს“. ამ გუნდების პირველი მატჩი გაიმართა ბელგრადში და მასპინძელთა გამარჯვებით 21:13 დამთავრდა. რვა ბურთის სხვაობა ძალზე დიდი იყო. რამ გამოიწვია ქართველ ხელბურთელთა ასეთი დამარცხება. ამ კითხვებზე გვიპასუხეს თბილისელთა მწვრთნელმა გ. შარაშიძემ და „მედვეშჩაკის“ მწვრთნელმა ვ. შტენცლმა.

გ. შარაშიძე: პირველი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენმა ბიჭებმა სუსტად ითამაშეს, მეორე — რუმინელი მსაჯი მეტისმეტად არაობიექტური იყო ჩვენს მიმართ. მან რვა 7 -მეტრიანი საჯარიმო დანიშნა ჩვენს კარში, აქედან 5 მაინც უმიზეზოდ.

ვ. შტენცლი: მატჩის შედეგი ჩემთვის მოულოდნელი იყო. ვიმედოვნებდით მცირე ანგარიშით გამარჯვებას. როგორც ჩანს თქვენი ბიჭები დაიღალნენ გზაში. გარდა ამისა მატჩის შედეგზე იმოქმედა გირლიჯიანუს მკაცრმა და ზოგიერთ შემთხვევაში ტენდენციურმა მსაჯობამ. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ჩვენ ნახევარფინალში ვართ.

სასწაული მოხდა, მაგრამ...

თბილისი. 13 თებერვალი. სპორტის სასახლე. განმეორებითი მატჩი. პირველ ტაიმში ვერა და ვერ ააწყვეს თამაში თბილისელებმა, ჩქარობენ. უკან დასახევი გზა არ არის, უნდა გაიმარჯვონ სულ ცოტა 9 ბურთის სხვაობით, პირველ ტაიმში კი არ ჩანს გამარჯვება — 7:7.

მეორე ტაიმი. „ბურევესტნიკმა“ ჩვეული სიძლიერით დაიწყო თამაში — თავისუფლად, გააზრებულად. შეტევას შეტევა სდევს. ანგარიში ასე იცვლება: 10:7, 10:8, 11:10, 19:10, 19:11, 20:11, 21:12, 21:13. თამაშის დამთავრებას 25 სეკუნდი აკლდა, როცა ანგარიში 21:12 იყო. და აქ, სწორედ აქ მოხდა სასწაული. ბურთი თბილისელებს აქვთ, საჭიროა დარჩენილი დროს გაჭიანურება. მაგრამ სამედისწერო შეცდომა — თავდამსხმელი კარში გზავნის ბურთს და მას სტუმრები ეუფლებიან. საპასუხო შეტევა, ჯარიმა. დრო ამოიწურა. 7-მეტრიანი დარტყმა — 21:13. იგივე ანგარიში, რაც ბელგრადში იყო, იმ განსხვავებით, რომ ახლა ქართველმა ხელბურთელებმა გაიმარჯვეს.

დებულების თანახმად, დადებითი კოეფიციენტის მიხედვით, იმისათვის, რომ ნახევარფინალში გასულიყვნენ, თბილისელებს უნდა მოეგოთ, ვთქვათ 19:11, 20:12 და არავითარ შემთხვევაში 24:16, 22:14. რადგან ანგარიში დაემთხვა, ჩეხოსლოვაკიელმა მსაჯმა წილი ჰყარა... და აქ ბედმა ზურგი შეაქცია ქართველ ხელბურთელებს. ნახევარფინალში „მედვეშჩაკი“ გავიდა.

ორი დღის შემდეგ ჩვენი ხელბურთელები — ჯ. აბაიშვილი, თ. ანთაძე, ჯ. ცერცვაძე, ა. ექსეულიძე, ი. ფხაკაძე, ლ. კარტოზია, ჯ. ბაგრატიონი და მწვრთნელი გ. შარაშიძე დანიას გაემგზავრნენ. მათ დაემატებათ 4 მოთამაშე სსრ კავშირის სხვადასხვა გუნდებიდან. საბჭოთა კავშირის სტუდენტური ნაკრების სახელით ისინი ამხანაგური მატჩებს ჩაატარებენ დანიის საკლუბო გუნდებთან.

სპორტში უმაღლესი ჯილდო — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭათ ფეხბურთელებს მისხილ მესხს და გივი ჩოხელს, მოჭიდავეებს ანზორ კიკნაძესა და ფარნაოზ ჩიკვილაძეს.

მ. მესხი — სსრ კავშირის ნაკრებში ნათამაშევი აქვს 31 ოფიციალური მატჩი, არის ევროპის თასის მფლობელი (1960 წელი), ჩილის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეა. 1964 წლის სსრ კავშირის ჩემპიონი.

გ. ჩოხელი — სსრ კავშირის ნაკრებში ჩატარებული აქვს ოცი ოფიციალური მატჩი. ევროპის თასის მფლობელი (1960 წელი), არის ჩილის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე.

ა. კიკნაძე: სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ჰიდაობა სამბოში, ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ჰიდაობა ძიუ-დოში, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პრიზიორი (III ადგილი).

ფ. ჩიკვილაძე—მრავალი საერთაშორისო შეხვედრების მონაწილე, სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პრიზიორი (III ადგილი).

ო. ლორთქიფანიძე.

დაგეძებენ, მოგელიან



ჯანიაშვილს ვასილ (ვასო) ნიკოლოზის-ძეს, დაბადებულს 1916 წელს, სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში, ეძებენ მეუღლე — თამარ გრიგოლის ასული მჭედლიშვილი-ჯანიაშვილისა და შვილი მზია, მცხოვრებნი ქ. თბილისში, გარეუბნის რაიონი, სოფელ დიღომში.

სურათებზე: ზემოთ — ვ. ჯანიაშვილი, ქვემოთ — მისი მეუღლე და ქალიშვილი.



საქართველოს ატლასი

გაკეთდა უაღრესად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე — მომზადდა და დაიბეჭდა **„საქართველოს ატლასი“**. ეს არის ჩვენი რესპუბლიკის პირველი კარტოგრაფიული ენციკლოპედია, რომელშიც რუკისა და სივრცეების ეპით აყერდა ჩვენი მადლიანი, მრავალფერადი ქვეყანა. იგი ქართველ გეოგრაფთა მრავალმხრივი მეცნიერული კვლევის შედეგია.

„საქართველოს ატლასის“ შექმნას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა სარედაქციო კოლეგია აკადემიკოს **გიორგი ძოწენიძის** თავმჯდომარეობით და სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო აკადემიკოს **ალექსანდრე ჯავახიშვილის** თავმჯდომარეობით. ეს დიდი კოლექტიური მუშაობა განახორციელა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა.

ატლასის შექმნა, რასაც ხუთი წლის დაძაბული სამეცნიერო კვლევითი და საწარმოო-ტექნიკური შრომა დასჭირდა, დიდი ეროვნული საქმეა.

დაგეძებენ, მოგელიან



ფერაძეს შალვა სოფრომის-ძეს, დაბადებულს 1909 წელს, ქ. ზესტაფონში, ეძებს დედა — ალექსანდრა კირილეს ასული ფერაძე, მცხოვრები ქ. ზესტაფონში, კამოს ქ. № 2.



გარგაძაძეს გიგლა (ჰიჰი) პავლეს-ძეს, დაბადებულს 1921 წელს, ქ. ზესტაფონში, ეძებს და — ლოლა პავლეს ასული გარგაძაძე —ფერაძისა, მცხოვრები ქ. ზესტაფონში. კამოს ქ. № 2.



გარგაძაძეს გრიშა პავლეს-ძეს, დაბადებულს 1905 წელს, ეძებს შვილი გურამ, მცხოვრები ქ. ზესტაფონში, რუსთაველის ქ. № 87.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე კვირას 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30.83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.